



2817/3-106/22 2 29032022

2817/3-106/22
29-03-2022

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, გვაცნობოთ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენად ხშირად დგას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის საჭიროება და ძირითადად რომელი მიმართულებით (საგამომიებო, ოპერატიული, კონტრდაზვერვითი, ანტიტერორისტული).

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA



18/04/2022



SSG 4 22 00063329

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენს 2022 წლის 29 მარტის N 2817/3-106/22 წერილთან დაკავშირებით, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები დაცულია/გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და მათი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარი მისიაა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის გათვალისწინებით და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ახორციელებს საგამოძიებო, სამართალდაცვით, ოპერატიულ, ასევე, კონტრდაზვერვით ფუნქციებს და მისი უფლებამოსილებები მკაფიოდაა გაწერილი საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისად, თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამსახური ეყრდნობა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, ასევე საქართველოს სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი
გრიგოლ ლილუაშვილი



